საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

„15" 05 2012 წ.

№ 8/557

ააიპ-ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის
დირექტორს ბატონ **გიორგი კლდიაშვილს**

თქვენი 2011 წლის 02 მაისის №20110517, №20110518, №20110519 და №20110520 წერილების პასუხად, გიგზავნით შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირების ჩამონათვალი შესაბამისი მონაცემების მითითებით მოცემულია სამინისტროს შემდეგ საიტზე www.mod.gov.ge.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ საიტზე www.spa.ge.

3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია განახორციელოს მოძრავი ქონების პრივატიზება. ამ სახის ქონების პრივატიზება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში არ განხორციელებულა.

4 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ძ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია." აღნიშნული ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ არის ვალდებული დაიანგარიშოს, გაანალიზოს და დააშუშავოს მონაცემები, თქვენი მოთხოვნების შესაბამისად (მათ შორის ჩატარებულ ღონისძიებებზე და ცენტრალური აპარატის მიხედვით გაწეულ ხარჯებზე).

5. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ცნობები მოცემულია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულებაში. ამ ბრძანებულებით დამტკიცებული "სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის" შესაბამისად. სახელმწიფო საიდუმლოებაა:

ა) "2.1.6." ქვეპუნქტი - კრებსითი მონაცემები სამხედრო ნაწილების, ხომალდების, ქვედანაყოფების, სამხედრო დაწესებულებების, შტაბების, სამხედრო აეროდრომებისა და დასაფრენი მოედნების, პოლიგონების, ბაზების საწყობების, სამშენებლო მოედნებისა და სხვა სამხედრო ობიექტების

0112 ქ. თბილისი, გენერალ გ.ყვინიტაძის ქ.20 ტელ./ფაქსი: (995 32) 912058
20GENERAL G. KVINITADZE STR. 0112, TBILISI, GEORGIA, TEL./FAX: (995 32) 912058
E-MAIL: MOD@MOD.GOV.GE

დისლოკაციის შესახებ; აგრეთვე მონაცემები დროებითი დისლოკაციის ადგილების მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ;

ბ) "2.3.4." ქვეპუნქტი - ცნობები სამხედრო აეროდრომებისა და დასაფრენი მოედნების, სამხედრო ქალაქების, ყაზარმების და სხვა ობიექტების (მათ შორის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების) მშენებლობისა და სამხედრო მიზნებისათვის სამოქალაქო ობიექტების გამოყენების შესახებ; აგრეთვე მონაცემები აღნიშნულ ობიექტებთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვის, საპროექტო და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესახებ;

გ) "2.3.12." ქვეპუნქტი - ცნობები ჯარების ორგანიზაციის, საბრძოლო და პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის (გარდა პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის კანონით დამტკიცებული ზღვრული ოდენობისა), იარაღის, სამხედრო ტექნიკის, ტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებათა ოდენობის, ჯარების დაკომპლექტების, უზრუნველყოფისა და დაკომპლექტების წესის შესახებ.

თქვენს წერილებში წარმოდგენილი შესაბამისი მოთხოვნები ეწინააღმდეგება მითითებულ ნორმებს, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში ფაქტობრივი ხარჯების გაანალიზების შემთხვევაში შესაძლებელია გამოითვალოს საიდუმლო ცნობებს მიკუთვნებული ზოგიერთი პარამეტრის დაახლოებითი მაჩვენებლები.

ამდენად, შეუძლებლად მიგვაჩნია თქვენი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ვახტანგ ჯორბენაძე
ადმინისტრაციის იურიდიული
დეპარტამენტის უფროსი